№ 158. ივლისის 22, კვირა. 1866—1884 ივლისის 22, კვირა. № 158.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქიქოძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ., 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავს წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ რედაქციისაგან

ოთხშაბათს, ივლისის 25-ს, სერგეი მესხის დასაფლავების წლის თავზედ, გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის მოსახსენებლად. „დროების“ რედაქცია სთხოვს განსვენებულის ნაცნობთა, მეგობართა და მას სახელის პატივის-მცემელთა მობძანდენ ამ პანაშვიდზედ ქალოუბნის ეკლესიაში, დილის 11 საათზედ. (3—1)

თბილისი, ივლისის 21-ს.

დღეს ჩვენი მწერლობის, ან უკედ ვთქვათ, ჩვენი ჟურნალ-გაზეთობის გლოვის დღეა. შარშან, დღევანდელ რიცხვს მიიცვალა ქართულის ჟურნალ-გაზეთობისთვის თავდადებული და წამებული სერგეი სვიმონის-ძე მესხი. თუ მოვიგონებთ და რიგიანად დავაფასებთ განსვენებულის ღვაწლს ჩვენის საზოგადოების წინაშე, მაშინ ყველანი დაგვეთანხმებიან, რომ სერგეი მესხი ღირსია ბევრად მეტის პატივისცემისა, ვიდრე ჩვენს საზოგადოებას უცია მისთვის; რომ ჩვენ გვმართებს ვიგლოვოთ სერგეი მესხი უფრო ღრმად, ვიდრე სხვა ვინმე გვიგლოვია.

სერგეი მესხის ღვაწლი ჩვენის საზოგადოების წინაშე გამოითქმის ერთის, მაგრამ მრავალ-მნიშვნელოვანის სიტყვით: [illegible] ნალისტი, პირველი და ერთად-ერთი ჟურნალისტი...

აქ უნდა შევჩერდე. მე წინადვე ვგრძნობ მკითხველის გაკვირვებას და მის აღტაცებულ კითხვას: «სხვა მწერლები რამ წაგვართვაო,—მეტყვის მკითხველი,—ჩვენი საყვარელი პოეტები რად დაივიწყეო, ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტები და კრიტიკოსები სად მიმალეო?»

მართალია, მკითხველო, ჩვენ გვყოლია და გვყავს დიდებული პოეტები და ყოველ გვარი ნიჭიერი მწერლები, მაგრამ ეს გარემოება ვერ გადამათქმევინებს ჩემს სიტყვას და მე კიდევ ვიტყვი, რომ სერგეის გარდა ჩვენ ჯერჯერობით არ გვყოლია ნამდვილი ჟურნალისტი. მაშინ, როცა სხვა მწერლები სწირვენ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს მხოლოდ თავისუფალ დროს, სწერენ და შრომობენ ჟურნალ-გაზეთობის [illegible] როცა სხვა საქმეები მათ ნებას აძლევენ და როცა ისინი წუთიერ აღტაცებაში არიან,—სერგეი მესხი მუდამ დღე თავის სიცოცხლეში ჩვენის ჟურნალ-გაზეთობის გუშაგი იყო. აქ იყო მისი სული და გული. გაზეთი იყო მისი შვილი და ძირი, ის იყო გაზეთის ლალა, როგორც თვითონვე სთქვა განსვენებულმა თავის გამოსათხოვარ წერილში. ეს იყო მისი ერთად ერთი, მაგრამ მძიმე და დიდებული მოვალეობა, რომელსაც იგი გმირულად ასრულებდა, ვიდრე ძალამ არ უღალატა და სიკვდილმა დღენი არ მოუსპო. მისი ფორმულიარი ძლიერ მარტივი იქნებოდა: ამ ფორმულიარში დაიწერებოდა: „სწავლის დასრულებიდგან სიკვდილამდე (1869—1883 წ.) გაზეთის «დროების» რედაქტორი იყო“. რამდენად ეს წინადადება გარეგნობით უფერულია და ამოსაკითხად მარტივი, იმდენად მისი შინაარსი მრავალ-მნიშვნელოვანია. მართლა, რა დიდი ძალ-ღონე უნდა ჰქონოდა, რა მაგარი ხასიათისა უნდა ყოფილიყო კაცი, რომ 14 წელიწადი გაზეთის რედაქტორობა აეტანა ჩვენში, სადაც ყოველიფრის ნაკლებობა იყო: საშუალებისაც, თანამშრომლებისაც და საზოგადოების მხრით თანაგრძნობისაც. [illegible] რედაქტორმა და მისმა დაახლოვებულ[illegible] თანამშრომლებმა იციოდენ, რა მძიმე იყო ყველა ამ დამაბრკოლებელი მიზეზების თავიდგან აცილება. მკითხველებმა კი არა იციოდნენ-რა ამ მიზეზებისა. მართლა, რომელი მკითხველი შეეიდოდა იმის განხილვაში, რომ რედაქტორს ამა-და-ამ დღეს გაზეთის ქაღალდი არ ჰქონდა, რომ თანამშრომლებმა ვერ მოიცალეს სხვა საქმეებისაგან და წერილები ვერ მოუტანეს რედაქტორს; რომ დამოუკიდებელი მიზეზების გამო დამზადებული სტატია ვერ დაიბეჭდა? მკითხველს ამ გარემოებათა დარდიც არა ჰქონდა. საბრალო რედაქტორს თუ ქაღალდის ფასი არ მოეძევებოდა უკანასკნელ თავის ქონებას, თუნდაც ჯიბის საათს, უნდა გამოსთხოვებოდა და ქაღალდი უნდა გაეჩინა; თუ თანამშრომელს წერილი არ დაუმზადებია, თვითონ რედაქტორს ღამე არ უნდა დაეძინა და საჩქაროდ მთელი გაზეთი თვითონ უნდა გაევსო წერილებით და ცნობებით; თუ გარეშე მიზეზებისაგან რამე უკმაყოფილება შეხვდებოდა, გულში უნდა ჩაემარხა და გაზეთი მაინც თავის რიგზე უნდა გამოეცა. ეს დაბრკოლებანი წამებულს სერგეი მესხს შეხვდებოდა ხოლმე ყოველ დღე, მაგრამ 14-ის [illegible]

«დროების» ფელეტონი ივლისის 22.

## კვირის ფელეტონის სამაგიეროდ

ორი ჭირი ერთად.—ერთი ახლო, მეორე შორს.—როგორც ჰქუხს, ისე არა წვიმს.—ძველის ექიმის ნაამბობი.—კიდევ რამდენიმე მაგალითი ცნობიერობის დაკარგვისა ხოლერის შიშით.—„ახალი მიმოხილვის“ თანამშრომელის ბოდვა.—ბ. ზუბალოვის წერილი „კავკაზში“.

ხოლერა და ფილოქსერა... თითქო ამ ორმა უსიამოვნო საგანმა ხმა და რითმა ერთმანეთს იმიტომ შეუწყეს, რომ უეცრად თავს დაგვესხმოდენ და ამოუშლელი დაღი დაესვათ ჩვენის ცხოვრებისათვის. ორნივ ერთი ციცქნები არიან: ფილოქსერა რწყილზე უფრო პატარაა და ხოლერის მიზეზიც—მიკრობია, თუ მიკროკობი, ისე მცირეა რომ გამოჩენილ ძოხს მიკროსკოპითაც კი გაუჭირდა მისი დანახვა. ორნივ ერთი ციცქნები არიან, მაგრამ, როგორც ერთმა, ისე მეორემ მთელი ქვეყანა ფეხზე დააყენა და ერთი თუ ჩვენს ამოხოცვას გვიქადის, მეორე ქართველის გულის მომალხინებელ ნექტრის გაწყობას გვემუქრება. ერთი ჯერ შორს არის, მაგრამ მეორემ უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა და შიგ შუა თბილისში, ხიდის ყურზედ კი ამოჰყო თავი.

ვისხედით არხეინად ჩვენთვის, „ჩოტკზედ“ ვანგარიშობდით, რამდენი მოგება ექნებოდა ჩვენს ქვეყანას, თუ ფილოქსერა საშინლვარ გარეთელ ვენახებს ამოაგდებდა; რამდენი დიდი და პატარა მეისნერი მოვიდოდა და დაგვეძღვნებოდა ამა-და-ამდენი კოკა ტკბილი მომყიდეთ და ისე ჩავთვლი, ვითომ გიჩუქებიათო,—ვისხედით, ტკბილად ვოცნებობდით და უეცრად აგრონომმა ზეევსკიმ დაგვიფეთხო ტკბილნი ოცნებანი, მთლად გადააბრუნა, სასტუმრო «ლონდონის» ბაღი და ნავთის სუნით ააყროლა იქაურობა.

რუსები რომ იტყვიან „задним умомъ крѣпки“-ო, სწორედ ისე მოგვივიდა. თუმცა მე დაწვრილებით არ ვიცი «ლონდონის» სასტუმროს ბაღის დაარსების ისტორია, მაგრამ ეს კი უეჭველია, რომ ამ სასტუმროს პატრონმა ფილოქსერა საშინლვარ გარეთიდამ მოიტანა ვაზის რქებთან ერთად და როგორც ერთი, ისე მეორე გააშენა და ააყვავა მტკვრის პირას, სწორედ შუა ქალაქში თავის წარჩინებული სტუმრების საგრილობელად. თვრამეტი წელიწადია, რაც საფრანგეთში ფილოქსერის ამბავი დაწვრილებით გაიგეს, თვრამეტი წელიწადია, რაც მიხვდენ, რომ ფილოქსერასაგან დაზიანებულ ქვეყნებიდამ არც ხე და არც ნაყოფი არ უნდა გაიტანონ სხვათა ქვეყნებშიო, მაგრამ ცოდნამაც არა გვიშველა-რა და სხვა-და-სხვა გადმოხვეწილები ჰზიდავდენ საფრანგეთიდამ ვაზის რქებსა და ხეხილს, თითქო შურდათ, რომ თუ კი საფრანგეთი ფილოქსერამ ამოაგდო, საქართველოში აყვავებული ვენახები რაღად უნდა იყოსო. ჰზიდავდენ ამ ჩვენი ვენახების დამღუპველს ჭიას და დამმღელი არავინა ჰყავდათ. [illegible] გავიწყდებოდა, რომ მდინარეს სათავეში უნდოდა დაწყვეტა და ეხლა კი დავფაცურდით და წარმოდგენილი გაქვს რომ ნავთის დასხმით ფილოქსერის ბუდეს სრულიად გავაწყობთო. ღმერთმა ჰქნას ასე იყოს, მაგრამ ჩვენ როგორღაც არა გვჯერა...

— ნეტა რას დაღონებულხართ და რა შიშს მისცემიხართო, მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა ამ დღეებში, როდესაც ქალაქში გავარდა ხმა ფილოქსერის აღმოჩენისა. მე მგონია ფილოქსერა თუ სიკეთეს არა, ვნებას არ მოგვიტანსო.

მე შევხედე ჩემს მოსაუბრეს, მეგონა ხუმრობს-მეთქი, მაგრამ რომ შევატყე, სრულიადაც არა ხუმრობდა, შემეშინდა, ვაი თუ ხოლერის შიშმა ჭკუაზედ შეშალა-მეთქი. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, რომ არც ერთი იყო და არც მეორე. იგი დალაგებით მიამბობდა საბუთებს თავის მოსაზრებისას, და კინაღამ მეც დამაჯერა, რომ ფილოქსერა არამცთუ ნავთით უნდა ამოვბუგოთ, უნდა «ვაშავაშათი» მივეგებოთ მას და დანაყილი აგურით მოუკირწყლოთ გზა, რომ ერთი ვენახიდამ მეორეში გადასვლა არ გაუჭირდეს.

— ზიანია თუ არა ჩვენს ქვეყანაში,—განაგრძო ჩემმა მოსაუბრემ— თუ გიყლია ერთ რასმეს შეამჩნევდი: ზოგან ვენახები სრულიად არ არის და იქ ხალხი უფრო მხნე მუშაც არის, კარგი მომჭირნეც, შეძლებულიც; ახლა გადაათვალიერე ის სოფლები, სადაც ვენახებია: აქ ხალხი მოკლებულია მუშაობის ხალისსაც, მომჭირნეობასაც და შეძლებასაც. ვენახის პატრონი მუშა-ხალხი თავის შრომას ორადა ჰყოფს, ვერც ერთსა სწვდება, ვერც მეორეს; ვერც პური მოჰყავს კარგად, ვერც ღვინო და ნახევარს თავის ნამუშავრისას—ღვინოს-შინვე აქრობს სმასა და ლოთობაში. კიდევ მადლობა ღმერთს რომ ჩვენი გლეხი ან თავადიშვილი ამ სასარგებლო სასმელს ზომიერადა სვამდეს ყოველ დღე, როგორც ადამიანის წესია; არა, ან სულ არ უნდა დალიოს, ან თუ დალევს, დალევს ისე, რომ გრძნობაცა და გონებაც თან ჩაატანოს. ახლა წარმოიდგინე ჩვენი ახალგაზრდობის «დროს-გატარება» სოფლებში, გამოულეველი სმა და უქმად ყოფნა

ამიტომაც გაბედულად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ 14-ის წლის განმავლობაში განსვენებული სერგეი მესხი სწერდა გაზეთისათვის თავის ოფლით და სისხლით. ბოლოს ეს სისხლიც გამოელია წვეთობით და წამებულმა სერგეიმ სიცოცხლეც დალია.

ამ დროს დანარჩენი ჩვენი მწერლებიც სწერდენ, რასაკვირველია, და ძლიერ ნიჭიერადაც ხელს უწყობდენ ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას, მაგრამ ნამდვილ ჟურნალისტებად ისინი ვერ ჩაითვლებიან, რადგან ამ ასპარეზზე ისინი ცოცინათელობდენ: ნამდვილი მათი ხელობა იყო ჩინოვნიკობა თუ ბანკირობა, ადვოკატობა თუ ექიმობა, მეურნობა თუ აღებ-მიცემობა და ან ვაჭრობა. ისინი სწერდენ და შრომობდენ ჟურნალ-გაზეთებისათვის მხოლოდ მაშინ, როცა მოიცლიდენ თავიანთ ხელობისაგან და როცა წერის გუნებაზე იქნებოდენ.

ჩვენ ამითი ის კი არ გვინდა, რომ დანარჩენი ჩვენი მწერლები ვაძაგოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი მათგანის ღვაწლი ქართულის მწერლობისათვის დიდია და შთამომავლობა მათ ღირსეულად დააფასებს. ჩვენ მხოლოდ გვსურს მოვაგონოთ ჩვენს საზოგადოებას, რომ სერგეი მესხმა მისთვის თავი დასდო და მის სამსახურში გმირულად მოკვდა. ჩვენ გვინდა აგრეთვე მოვაგონოთ საზოგადოებას, რომ თუ სერგეი მესხს თავი არ შეეწირა ქართული, გაზეთის საქმისათვის, დღეს «დროებას» ისეთივე ბოლო ექნებოდა, როგორც «ცისკარს», «საქართველოს მოამბეს», „მნათობს", „სასოფლო გაზეთს", «შრომას» და სხვა დღე-ნაკლულ გამოცემათა. მხოლოდ სერგეი მესხის შესანიშნავ ენერგიას და მტკიცე ხასიათს უნდა მიეწეროს, რომ «დროებამ» მის ხელში 14 წელიწადი გასძლო და შემდეგისათვისაც საშიში არ არის მისი მდგომარეობა.

ჩვენს ახლანდელ ეს დიდ ღვაწლად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ საზოგადოდ არა ვართ დაჩვეული იმ მოვლენასა, რომ რომელიმე ჩვენგან დაწყებულ საქმეს და დაწესებულებას მტკიცედ გაედგას ფესვები და მალე არ ჩაფუშულიყოს. ამიტომ დიდი მადლობის ღირსია ყოველი ის კაცი, ვისაც რომელიმე რიგიანი და სასარგებლო საქმე მკვიდრ ნიადაგზე დაუყენებია და მისი მომავალი საიმედოდ გაუხდია. განსაკუთრებით ამ ჭეშმარიტებას აქვს ადგილი ამისთანა საქმეში, როგორიც არის გაზეთი. როგორც ყველგან, ისე ჩვენშიც გაზეთი დიდი ძალა და თვალსაჩინო საქმეა. გაზეთი ახლანდელ დროში არის მქადაგებელი და მასწავლებელიც, რომელიც ყოველ ჭეშმარიტებას ნერგავს ხალხში; ექიმიც, რომელიც ჰკურნავს ხალხს სხვა-და-სხვა სოციალურ ბოროტებისა და ცრუმორწმუნეობისაგან; დამცველიც, რომელიც იცავს საზოგადოების პატიოსნებას...

როცა მიუხედავად გაზეთის ამისთანა მნიშვნელობისა და მაშასადამე სერგეი მესხის ღვაწლისაც, ზოგიერთები კითხულობენ, თუ რომელი შესანიშნავი თხზულება დასტოვა სერგეი მესხმა ჩვენს ლიტერატურაში, მაშინ ჩვენ გვაგონდება თვით საქართველოს ბედი და ზოგიერთი ისტორიკოსების აზრი საზოგადოდ ისტორიის მნიშვნელობაზე. საქართველოს ისტორიას, ზოგიერთი ისტორიკოსების აზრით, არ აქვს კაცობრიობისათვის მნიშვნელობა, რადგან ქართველებს არ შეუტანიათ არა ვითარი განძი კაცობრიობის მეცნიერებაში და მის სულიერ წარმატებაში. მაგრამ ამისთანა აზრი შემცდარია თავიდგან ბოლომდე, ამიტომ რომ თუმცა საქართველოს ხალხს კაცობრიობის მეცნიერებაში და მის სულიერ წარმატებაში მართლა არ ჰქონია შესამჩნევი მონაწილეობა, მაგრამ მისმა ძველი ისტორიის განმავლობაში გმირულმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ დაიცვა როგორც თავისი არსებობა, აგრეთვე დასავლეთის ხალხთა ბედი; მის გმირულ ცხოვრებას უნდა უმადლოდეს დღეს ქრისტიანობა, რომ ის დღემდე სუფევს კავკასიაში. საქართველოს ხალხი კავკასიის ყელზე იყო დარაჯი, რომელმაც დაიფარა დასავლეთის ხალხნი აღმოსავლეთის მტარვალთაგან. ამისთანა ხალხის ისტორია არამცთუ საინტერესო და სასარგებლოა, არამედ მის შესწავლას და პატივით მოხსენებას მოითხოვს მოვალეობა და მისი დავიწყება განათლებულ ერთათვის უმადურობა იქნებოდა.

სწორედ ამისთანავე დამცველი ქართველით ინტერესებისა იყო სერგეი მესხი, რომელიც ყოველ დღე მისთვის იღვწოდა თუმცა კალმით, მაგრამ რა საძნელო იყო ამ კალმით ბრძოლა, ეს დაამტკიცა სერგეის ბედმა და მისმა უდროვოდ სიკვდილმა.

ამიტომ საზოგადოება არ დაივიწყებს განსვენებულ სერგეის ღვაწლსა და მის წამებულ ცხოვრებას. ჩვენი საზოგადოება შეიძლებს აუგოს მას ნიშნად მადლობისა იმისთანა სახსოვარი, რომელიც შეეფერება განსვენებულის ღვაწლს...

პირადად სერგეი მესხს, რასაკვირველია, არავითარი ჯილდო და პატივის-ცემა ჩვენის საზოგადოების მხრით არ ეჭირვება. სერგეი მესხი სიცოცხლეშივე დააჯილდოვა თავისმა სვინიდისმა. მართლა, რა ჯილდო შეედრება იმ კმაყოფილებას, რომელიც უნდა ეგრძნო სერგეი მესხს, როცა ის თვალს გადაავლებდა თავის წარსულ ცხოვრებას და წარმოიდგენდა, რომ მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ სამშობლოს სამსახურს შესწირა, მხოლოდ სამშობლოზე ფიქრობდა და მისი წარმატებისათვის შრომობდა... ჯილდოდ სერგეი მესხს მარტო თავისი სვინიდისი ეყოფოდა, როცა წარმოიდგენდა, რომ იარაღი მან მხოლოდ მაშინ დააგდო, როდესაც სიკვდილი მოუახლოვდა...

თუ კი ჩვენ ვაგონებთ საზოგა-

---

და მაშინ მითხარ, მაქვს თუ არა სა- [illegible] ეშა სწუხართო.

მე პირ-ღია შევყურებდი ჩემს მოსაუბრეს, ზოგიერთი საბუთი საფუძვლიანადაც მეჩვენა, მაგრამ თან მიკვირდა, ენას როგორ ატრიალებს და ღვთის-საგმობელ სიტყვებს როგორ ამბობს-მეთქი. მომაგონდა ალაზნის ველი თავის ურცხვი ვენახებით, მომაგონდენ მშვენიერის, ქარვის მზგავსი ყურძნით დატვირთული ვაზები, მომაგონდენ დაჩრდილული ხეივნები, რომელთაც კეკლუცად ჩამოკვანწიალებული მტევნები ისე ამშვენებენ, როგორც „გიშრის კავები" ლამაზად მოხდენილს ქალს, დამავიწყდა ჩვენის ახალ-გაზრდობისაგან უზომოდ ღვინისმაც, მისი თავ-მომაბეზრებელი «მრავალ-ჟამიერიც» და უნებურად წავიბუტბუტე მაინც: „ღმერთო გვიხსენ ფილოქსერისგან მეთქი".

***

მერა ჰქნარა ჩემმა მოსაუბრემ, თუმცა ძალიანა სცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ფილოქსერა ისე საშიში არ არის, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ, ვერ შესცვალა ჩემი მძულვარება ამ საძაგელ მწერისადმი სიყვარულად; მაგრამ ვერც მეორე მოსაუბრე გაჰხდა რასმეს და ვერც იმან დამაჯერა, რომ წრევანდელი ხოლერა მეტის-მეტად საშიში იყოს ჩვენთვის. ეს მეორე მოსაუბრე გახლდათ ერთი ხანში შესული ექიმი, რომელიც მათი 70 წლის [illegible] მელსაც, რაღაც ეშმაკად, თავის სიცოცხლეში თხუთმეტიოდე ხოლერა გამოუვლია და ათიოდე ჭირი და თავზედ იმდენი ბალანი არა აქვს, რაც თავში მოგონებანი უტრიალებს ხოლერისა და ჭირის დროისა. და აი როდესაც დამშვიდებული ვკითხულობდი ტელეგრამებს, რომ მარსელში მხოლოდ თოთხმეტი მოკვდა და ტულონში ექვსიო და ღმერთს ვმადლობდი ხოლერის განელებისათვის, გამომეცხადა ხსენებული ესკულაპი და კინაღამ დამიკარგა სულის მშვიდობა იმით, რომ მიამბო ერთი ხოლერის ამბავი «თავის პრაქტიკიდამ». 1847 წელს რომ ხოლერა გაჩნდა თბილისში, პირველად ავლაბრიდამ დაიწყოო. ერთი თვე იქ იმძვინვარა; ჯერ იმატა, მერე იკლო და ბოლოს სრულიად შესწყდა ისე რომ მტკვრის მარჯვენით ერთი შემთხვევაც არა ყოფილა ხოლერისაო. სამი დღე რომ ხოლერის ხსენება აღარსად იყო, შევიყარენით ხუთი ექიმი (მაშინ მთელ ქალაქში მარტო ხუთნი ვიყავითო) ავლაბრის მოედანზედ, გადავკოცნეთ ერთმანეთი და მივულოცეთ ხოლერის მოსპობა და მშვიდობით გადარჩენაო. შინ რომ დავბრუნდი, მოიჭრა კაცი, მერისკენ ი—ნი ავად გახდა ხოლერით და მოხედეთო. ეს იყო ნიშანი ავლაბრის მარჯვნივ ხოლერის გაჩენისა და ამ წყეულმა ჭირმა ისე და იმავე წესით იმძვინვარა ერთი თვის განმავლობაში მტკვრის მარჯვნივ, [illegible] ში მძვინვარებდაო. ამ დროს ავლაბარში არც ერთი ადამიანი არ მომკვდარა ხოლერითაო...

ასეა საფრანგეთშიაც: მართალია ეხლა ტულონში და მარსელში ხოლერა ნელდება, მაგრამ სხვაგან გაჩნდება და იქაც ისეთსავე ძალას გამოიჩენსო. ასე დაასკვნა ჩემმა მოსაუბრემ, მაგრამ, სწორე გითხრათ, იმის მოგონებასაც არ უმოქმედნია ჩემზედ და ეხლაც ისე არა ვშიშობ ხოლერის მოსვლას, როგორც იმასთან ლაპარაკის წინ არა ვშიშობდი.

მაგრამ, როგორც ეტყობა, ხოლერის ხმა ყველაზედ თანაბრად არ მოქმედობს. ხმის. ზუბალოვი ისე შეუშინებია ამ ხმას, რომ უარუყვია ყოველივე მნიშვნელობა ჩვენი თვითმმართველობისა, რადგან ყოვლადსრული არ არის იგი (თითქო თვითმმართველობა პირ-და-პირ ყოვლად სრული იბადებოდეს სადმე) და ღაღადებს «კავკაზში», რახან თვითონ ქალაქი არა ჰზრუნავს ქალაქის გასუფთავებისათვის, მთავრობა უნდა ჩაერიოს და გაჰგავოს ქალაქის ქუჩებიდამ, როგორც ჰაერის გამფუჭებელი უწმინდურება, ისე ვილაც ალდათოვ-მალადათოვებიო. ერთ-ერთს „ახალი მიმოხილვის" თანამშრომელ უფრო არევია დავთრები და, თუმცა პირ-და-პირ ხოლერაზედ არა ლაპარაკობს, მაგრამ ხოლერის გამო მაინც იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილა, რა მდგომარეობაშიაც ახლად [illegible] განმავლობაშია, ე. ი. რასაც ჰხედავს, უკუღმა ჰხედავს და სხვისთვის რომ უნდოდეს მათრახების გადაწვნა, თვალი ატყუებს თითონვე იწვავს გვერდებს თავისივე მათრახით და ასე ჰგონია სხვები მილაწუნებენო. შეუჩვევია საბრალოს ენა ლანძღვისა და გინებისათვის და წარმოუდგენია, —რაკი ლანძღვა-გინება ვიცი, საზოგადო საგნებზე სჯას რატომ ვერ მოვახერხებო და მიჰყოლია ლაპარაკს იმაზედ, რომ საქართველოში არც პოეტები არიან (ღმერთო ჩემო! იქნება, სხვაფრივ კი ღარიბები ვიყოთ, თორემ პოეტების მეტი რა გვყავს), არც პუბლიცისტები და მთელ საქართველოს მხოლოდ მკითხავები განაგებენო. კარგი იქნება, ეს ხალხის მატყუარანი ციხეებში დავამწყვდიოთ, თორემ მთლად გაანადგურეს აქაურობაო... ბავშური მსჯელობა შესაფერი ძუძუ-მწოვარი პუბლიცისტისა. იქნება, გგონიათ, ლანძღვა-გინებაში გაწვრთნილო პუბლიცისტო, რომ თუ თქვენ ციხეში ჩაგსვეს, ლიტერატურაში აღარ გამოერევა აღარც ლანძღვა და აღარც გინება. გამოერევა, დაგვერწმუნეთ, გამოერევა, ამიტომ რომ საზოგადოებაში ყოველთვის მოიპოებიან უმართებულო ქცევისათვის პატიოსანი საზოგადოებიდამ განდევნილნი პირნი, რომელთაც, სხვა ღონე რომ არა დარჩენიათ-რა, კინტოური ლექსიკონით იქარვებენ თავიანთ გულის დარდსა.

დოებას, რომ სერგეი მესხის სახელს სათანადო პატივი უნდა ვსცეთ და მისი სამსახური საზოგადოებისადმი ჯეროვანად უნდა დავაფასოთ,—მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მისი პატიოსნება და სარგებლობა...

ისკანდერ-ბეგ.

## შინაური ქრონიკა.

— გუშინ შესრულდა ერთი წლიწადი ჩვენის წინა მოადგილის, ქართველთაგან დაუვიწყარის სერგეი სვიმონის-ძის მესხის გარდაცვალების შემდეგ. გუშინვე სერგეის სახელისა და მოგონების პატივის-მცემელთ მოიყარეს თავი ქალოუბნის ეკლესიაში, სადაც პანაშვიდი იქმნა გარდახდილი.

— ჩვენ გვწერენ: «პარასკევს, ივლისის 20-ს, მე მომიხდა თათრის მეიდანზე ყოფნა და შემდეგი შემთხვევის მოწამე გავხდი: ჩაველი თუ არა, მეიდანში, შევნიშნე, რომ ვაჭრობის პოლიციის ბუდკას დიდ-ძალი ხალხი ახვევია და დიდი ყაყანი გააქვს; ცნობის მოყვარეობამ წამძლია, მივედი იქ და რა ვნახე: ბუტკის წინ ეწყო რამდენიმე გაჭრილი ყველი, რომელთაც შუაში კარგად მოზდილი შავი ქვები ჰქონდა დატანებული. გამოვიკითხე საქმე და შემდეგი შევიტყე: ერთი ალაფი ამ სამის თვის წინად წასულა შამშადილში და იქ ერთი ნაცნობი თათრისაგან დაუკვეთია ყველი, რომელიც წინა-დღით, ესე იგი ივლისის 19-ს მოსვლია მას სხვა თათრის ხელით. დილით მისულა მასთან მუშტარი, გაუჭრია ყველი და შუაში სამი გირვანქის ოდენა ქვა აღმოჩენილა, გაუჭრია მეორე, მესამე და იქაც იგივე ქვები. ალაფს მაშინათვე წარუდგენია ვაჭრობის პოლიციისათვის, რომელსაც, როგორც რიგია, ქალაქის პოლიციისათვის გარდაუცია, მაგრამ ამ უკანასკნელს უკან დაუბრუნებია და შემოუთვლია, ეს საქმე ჩვენ არ გვექვემდებარება, რადგან ყველი შამშადილშია გაკეთებული და, მაშასადამე, დანაშაულობა იქ არის მომხდარიო. ვაჭრობის პოლიციას გაუგზავნია ყველი გამგეობაში, გამგეობას ისევ პოლიციაში. გამგეობიდგან გაგზავნილს პირს აუხსნია პოლიციისათვის, რომ მართალია ბოროტ-მოქმედება შამშადილში მომხდარა, მაგრამ ბოროტ-მოქმედების კვალი აქ აღმოჩნდა და ამისათვის აქაური პოლიცია მოვალეა კანონით შეადგინოს ამ საგანზე პროტოკოლი და იქაურს გამომძიებელს გარდასცესო. პოლიცია ახლა კი დათანხმებულა, მაგრამ პროტოკოლი მაინც არ შეუდგენია, რადგანაც ყველის პატრონს ალაფს უთხოვნია, მე მუდამ წელს დავიარები სავაჭროდ შამშადილში და, თუ შეიტყეს, რომ ეს საქმე ჩემგან დაიწყო, ცოცხალს აღარ გამიშვებენო.

ამის გამო თათრის მეიდნის კინტოობა შემოჰხვეოდა ვაჭრობის პოლიციას და აყვედრიდა—თქვენ სულ ყოველთვის სოფლელების მხარე გიჭირავთ, ყოველ საქმეში ჩვენ გვამტყუნებთ მათ წინაშე და აი თქენი სოფლელები რასა სჩადიანო; ჩვენს შორის უკანასკნელი ჯიბის ოსტატიც არ იქმოდა მაგ საქმესა; ჩვენ რომ ეგ გვექნა, დასაღრჩობადაც არ დაგვინდობდით და სოფლელებს კი ყურადღებას არ აქცევთ, თითქო სოფლელები უცოდველნი ანგელოზნი იყვნენო.

რა ქნას, მართლაც, ან გამგეობამ, ან მისმა ვაჭრობის პოლიციამ..

— ჩვენ გვატყობინებენ, რომ იმავე დღეს და იმავე მეიდანზე საათის 12-ზე, სიცხისაგან უცებ ანთება მოსვლია ვაჭარს პავლე მეტრეველს და «ძმა-ბიჭებს» მაშინათვე ჩაუსვამთ ფაეტონში და იქვე ახლო ექიმ ვა—ვთან მიუყვანიათ. ავადმყოფი ქუჩაში დაუყენებიათ, ერთი «ძმა ბიჭთაგანი» მისულა ვა—ოვის სახლის კარებთან დაურეკია თუ არა ზარი, მაშინათვე თვითონ ბ. ვა—ოვი გამოსულა და ავადმყოფის მიმყვანი შეჰხვეწნია—«ბატონო! კაცი კვდება და შენი ღვთის-გულისათვის ერთ პატარა რეცეპტი დაუწერეთ». ვა—ოვს უთქვამს «არ შემიძლიან»-ო და ჩაუკეტნია კარები. ამ დროს ავადმყოფი ჰყვიროდა თურმე შემაძრწუნებელის ხმით „ვაიმე, ვიწვი, ვიწვი, მიშველეთ, ქრისტიანი ვინა ხართ". შეჭველია, ბ. ვა-ვიც გაიგონებდა ამ გულის საკლავს ყვირებას, მაგრამ... მაგრამ «ქვეყანა და ქვეყნის საქმე იმას ფეხებზედ ჰკიდია».

ამის შემდეგ «ძმა-ბიჭებმა» განიძრახეს თურმე ავადმყოფის ექიმ ბახუტოვთან წაყვანა და გააბრუნეს კიდეც იქითკენ ფაეტონი, მაგრამ ამ დროს, ილბალზედ შეხვდა მათ ბ. ჭოჩარიანცი, რომელიც, შეიტყო თუ არა საქმის გარემოება, მაშინათვე გაჰყვა სახლში ავადმყოფს, უწამლა და სიკვდილს მოარჩინა საცოდავი. ბ. ვა—ნოვის საქციელის შესახებ კინტო ბიჭები თურმე იძახდენ მეიდანზე: „ესაც შენი ნასწავლი კაცი! რატომ არ შეიბრალა მომაკვდავი...

## უცხოეთი.

**ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები.** როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მალე მოხდება რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის ამორჩევა, და ამისგამო ამ ჟამად ამ გარემოებაზეა მიქცეული ყურადღება არამცთუ ამერიკელებისა, არამედ ევროპისაც კი. ევროპის ყურადღება განსაკუთრებით იმ გარემოებამ მიიქცია, რომ რესპუბლიკურმა დასმა კანდიდატად ბლენი გამოიყვანა. შეჭველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპისთვის იმას, თუ ვინ იქნება ამერიკის პრეზიდენტად. გაზეთების სიტყვით, ბლენი არის ბუნებით პატივის-მოყვარე კაცი, დაუძინებელი მტერი ინგლისისა და მუდამ იმას ჰფიქრობს—როგორ დაარღვიოს „იმიერ-ატლანტიის რესპუბლიკის დიდებული ნეიტრალიტეტი და ევროპას დაუყენოს იგი საწინააღმდეგოდ. იმას ჰსურს განდევნოს ამერიკიდამ ყოველივე ევროპიული გავლენა და ზედ-მოქმედება. იმის აზრით, თუ ის გახდა პრეზიდენტად, ამერიკა უნდა წარმოადგენდეს უშველებელს ობობას, რომელმაც უნდა გააბას თავისი ქსელი ცეცხლის მიწიდამ მოკიდებული ესქიმოსების ქვეყანამდინ», და ამავე დროს ევროპაზედ უნდა ჰქონდეს ძლიერი პოლიტიკური ზედ-მოქმედება. უკანასკნელი საგნის მისაღწევად ბლენი, გაზეთებისავე სიტყვით, ძლიერ ეფერება თურმე ამერიკელი ფენიების წინამძღოლს, ო'დონოვან როსას, რათა მოიპოვოს ფენიების თანაგრძნობა, აუტეხოს ინგლისს ირლანდიის მხრით დავი-დარაბა და ამ სახით შეაჭიროვოს იგი. ევროპა დარწმუნებულია, რომ ბლენის გარეშე პოლიტიკა იქნება მოუსვენარი და მისი მმართებლობა მფარველობას გაუწევს ყოველ-გვარ რევოლიუციონურ და ანარხიულ საზოგადოებათა; ამისათვის ევროპის სახელმწიფოთ არ მოსწონთ ბლენის კანდიდატურა და კლევლანდის კანდიდატურას უფრო თანაგრძნობით უყურებენ. ამ რამდენიმე კვირის წინად შეკრებილა ესრედ-წოდებული „კავშირი ნემეც-ამერიკელთა დამოუკიდებელ მოქალაქეთა" და შემდეგი გარდაწყვეტილება დაუდგენია: „რადგანაც ბბ. ბლენის და ლოგანის პრეზიდენტობისაგან დიდს საშიშროებას უნდა მოველოდეთ ჩვენის ქვეყნის კეთილდღეობისა და პოლიტიკური წარმატებისათვის, ამიტომ ნიუიორკის კონვენტის კავშირი თავის მოვალეობად რაცხს ურჩიოს ყველას, რომ პრეზიდენტად ამოირჩიონ კლევლანდი, როგორც საუკეთესო და ამ თანამდებობაზე გამოსადეგი კაცი".

—

**იტალია.** რომიდგან სწერენ „მოსკ. უწყებებს": ხოლერის სიახლოვემ ძლიერ შეგვაჭირვა ჩვენ, მით უფრო, რომ ბერლინის ხრიზმოსმა (ორაკულმა) კოხმა იწინასწარმეტყველა—ეხლანდელი ხოლერა მთელს ევროპას მოედებაო. თუ გვეწვია ეს საშინელი სტუმარი, იმას მაინც ვერავინ გვისაყვედურებს, რომ არ მიგვეღოს მის წინააღმდეგ გასაფთხილებელნი საშუალებანი. ყოველგან კარანტინები დაწესებული; როგორც ზღვის აგრეთვე ხმელეთის სამზღვრებსაც სასტიკად იცავენ; თითქმის შვეიცარიის სამზღვრისათვისაც კი ხუთი-დღიური კარანტინია დაწესებული. ყოველ ქალაქში, თითქმის პატარებშიაც კი, ყოველ მივარდნილ ადგილას გოსპიტლებს აკეთებენ, თუ, ვინიცობაა, ხოლერა გაჩნდა. მუნიციპალიტეტები ყოველგან სწმენდენ და ასაღებენ ქალაქებს. მაგრამ მაინც კიდევ შიშით და ძრწოლით ადევნებენ თვალყურს ტულონში და მარსელში გაჩენილს ხოლერას. ამ მიზეზს ის გარემოება უფრო აძლიერებს, რომ ორივე ქალაქში იტალიელი მუშები მრავლად არიან. ამ მუშების დასახმარებლად ჩვენმა მმართებლობამ გაგზავნა ორი გემი, რომ, თუ სულ არა, ზოგი მათგანი მაინც მოიყვანონ აქ. ჩვენმა მეფემაც 10,000 ფრან. გაუგზავნა ტულონის და მარსელის მუნიციპალეტეტებ ჩვენთა თანამემამულეთა დასახმარებლად.»

—

**საფრანგეთი.** დეპუტატთა პალატას 355 ხმის უმეტესობით 115-ის წინააღმდეგ მიუღია კანონი ცოლ-ქმართა გაყრის შესახებ ყველა იმ ცვლილებებით, რომელნიც სენატმა შეიტანა მასში. ამ საგანზე ბაასი დიდხანს არ გაგრძელებულა და ძლიერ ცოტა ორატორებს ულაპარაკნიათ. ამ სხდომაზე წარმოთქმულს სიტყვებში ყველაზე მომეტებულს ყურადღებას მონსინიორ ფრეპელის მიერ წარმოთქმული სიტყვა იპყრობს. ეს სულიერი მამა უკანასკნელად ცდილა კიდევ როგორმე ჩაეშალა ხსენებული კანონის აღდგინება. ამ ორატორს, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებით მიუმართავს პალატისთვის: „მე ძალას ვერ დაგატანთ. მე ვხედავ, რომ თქვენ გადაწყვეტილიცა გაქვთ ეს საქმე. ბევრს თქვენგანს საზიზღრადაც მიაჩნია ეს კანონი, მაგრამ მაინც კიდევ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ამ კანონის სასარგებლოდ აძლევენ ხმას. მეც დაწყლულებული გულით დავესწარ კენჭის ყრას შესახებ იმ კანონისა, რომელიც საბოლოვოდ დაჰღუპავს საფრანგეთს და შეამცირებს მცხოვრებლების რიცხვს.

ძახილი მარცხნივ. მაშ შეირთეთ ცოლი!..

დეპუტატი როში. იმ ქვეყნებში, სადაც ცოლ-ქმართა გაყრა ნება დართულია, მცხოვრებთა რიცხვი უფრო მრავლდება.

... «მე იმედი მაქვს, განუგრძვია ფრეპელს,—რომ ზნენი, უფრო ძლიერნი, ვიდრე კანონები არიან, წინააღმდეგობას გაუწევენ ამ სემიტიურს მოძრაობას. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ამ კანონის დაარსებით თქვენ გაჰყრით ურთიერთ შორის მესამე რესპუბლიკას და კატოლიკე ეკლესიას (ყვირილი მარცხნივ). როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით! ბადადით ებრაელებითურთ ისრაილის მხარეს, ჩვენ კი დავრჩებით ეკლესიის და საფრანგეთის მხარეზე! (ტაშის-კვრა მარჯვნივ).

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი"

ივლისის 20

**პოლტავა.** სასოფლო სამეურნეო საზოგადოება 1 აგვისტოდგან ხსნის მუდმივს გამოფენას მიწის სამუშავო იარაღებისას, მანქანებისას, თესლეულობისას და აგენტუ-

რას თესლეულობათა, სასოფლო მეურნეობის შინაზულის, იარაღების და მაშინების საყიდლად და გასასყიდლად, აგრეთვე მამულების გასასყიდლად, იჯარით მისაცემად და სხ., საზოგადოება გამოსცემს ფურცელს სოფლის მეურნეთათვის.

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრი აცხადებს სამინისტრის რჩევის შედგენას საზოგადო კრებისა და ორი განყოფილებისაგან: ადმინისტრატიულისა და ტეხნიკურისაგან; საჭირო საქმეებს, რომელთაც აქვთ კავშირი სხვა უწყებათა ინტერესებთან, განიხილვენ ამ უწყებათა წარმომადგენლების, და აგრეთვე ერობათა, ქალაქთა, ვაჭართა რკინის გზათა და სხვა სმრეწველო ნაწილთა ვექილების თანადასწრებით.

**პარიჟი.** გუშინ მოკვდა ხოლერით ტულონში 6 და მარსელში 14 კაცი.

პალატამ მიიღო კონსტიტუციის გარდახედვისა პროექტი თანახმად სენატის რედაქციისა.

**ტურინი.** უსაფუძვლოა ის ხმები, ვითომც აქ ხოლერა გაჩნდა.

**შანხაი.** ამბობენ, რომ საფრანგეთი და ჩინეთი მორიგდნენო; ჩინეთმა საფრანგეთს 10 მილიონი მანათი უნდა გადაუხადოსო.

ივლისის 21.

**ლონდონი.** გაზ. ,,ტაიმსს‘‘ მოსვლია ტელეგრამა ფუჩეუდამ, რომ იქ ხალხი თავ-ზარ დაცემულია; ევროპიელებს ეშინიანთ ჩინელებისაგან ძალის ხმარებასა და ემზადებიან თავ დასაცველად. ქალები ქალაქ გარედ გაიხიზნენ; ფრანცუზების კონსული გემზედ გადავიდა.

ფუჩედამ ტელეგრამა მოვიდა, რომ ჩინეთი უარ-ჰყოფს გადუხადოს საფრანგეთს სამხედრო ჯარიმა.

**პარიჟი.** ტულონში მოკვდა ხოლერით 4, მარსელში 20 და არლში—5. ტულონში დუქნები გაიხსნა, მისვლა-მოსვლა გახშირდა.

**კონსტანტინოპოლე.** პორტა უცხადებს სახელმწიფოებს, რომ განზრახვა აქვს დანიშნოს ათი დღის კარანტინი ვარნიდამ, დუნაიდამ, ოდესიდამ, ბრინდიზიდამ და ტრიესტიდამ მომავალი გემებისათვის და კარანტინი თხუთმეტის დღისა იმ გემებისათვის რომელნიც ხმელთა შუა ზღვაზედ მდებარე საფრანგეთის პორტებიდამ მომავლობენ.

# განცხადებანი

იუვანენ მოსწავლე მცირე წლოვანს ბავშვებს როგორც საცხოვრებლად, აგრეთვე მოსამზადებლად შემდეგს კლასებში გადასასვლელად. მსურველთ შეუძლიანთ მომართონ შემდეგის ადრესით: ანდრიევსკი ქუჩაში, სერებრიაკოვის სახლებში. (3—2)

**ინდოეთის შლაპები** თითო 3 მანათად. ბომაზეი 90 კ.—1 მან. არშინი, გლიცერინის საპონი გირვანქა 40 კ. მედალიონები ქაფურით ქუთროუშის ასაცილებლად, კარბოლის პარაშოკი გადამდები ავადმყოფობის ასაცილებლად—20 კაპ. ალმასის პარაშოკი ყოველ გვარი მეტალის საწმენდად 15 კაპ.—½ გირვ.; ქაღალდი ვატერკლოზეტისათვის 500 ფურცელი 50 კაპ. 3000 არშინი ამერიკის კლიონკა სხვა-და-სხვა სორტისა 50 კაპ.—2 მან. არშინი, 1200 ინგლისური რკინის კრაოტები,—ვაჟიკაცისა 7 მანათიდამ, ბავშვებისა 4 მანათიდამ. (6—4)

ვუცხადებ გორის მაზრის საზოგადოებას რომ მე მოვიტანე ქ. გორში ვარშავიდან პოლსაპოშკები სხვა-და-სხვა ნაირი: კაცისა, ქალისა და პატარა ყმაწვილებისა და ვყიდი უწინდელზედ დაშორებით ნაკლებ ფასებად.

(6—3) ივანე ბარამოვი.

ისყიდება ყველა მაღაზიებში

**ტოლეს**

სტეარინის სამთლები პირველი სორტისა 4 და 5-იანი. ფუთი 11 მანათი, გირვანქა 28 კაპ., (5—5)

გამოვიდა და ისყიდება:

**განკიცხული**

მოთხრობა

ა. მ. მოხსუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

თბილისში, «დროების» რედაქციაში და ხაქ. ჭიჭინასის მაღაზიაში. ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში. თელავში. ბ. როსტომაშვილთან. ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

**უჭალიერი** ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდა-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული. (30—23)

მიიღება ამ 1884 წ. ხელის-მოწერა. ხელის-მომწერელს ყველა გამოსული ნომრები გაეგზავნება.

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

## „ნობათი“

პედაგოგიური ნაწილის დამატებით.

მთელი წლის გამოცემა ჟურნალი „ნობათი“-სა შეიცავს 12 წიგნსა.

ყრმათა საკითხავ წიგნში იბეჭდება: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, სურათები ხალხის ცხოვრებიდამ; ბიოგრაფიული მოთხრობები, მოგზაურობა, ეპიზოდიური მოთხრობები ისტორიიდამ, ამბები გეოგრაფიიდამ და ბუნების მეცნიერებიდამ; იგავები, ანდაზები, გამოცანები, შაირები, არითმეტიკული გამოცანები; სათამაშოები, რებუსები, სიმღერები ნოტებით და სხვ.

დამატებაში—მშობელთა და აღმზრდელთათვის—იბეჭდება: პედაგოგიური სტატიები მშობელთა და აღმზრდელთათვის შესახებ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლისა (პირველ-დაწყებითი), კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული სტატიები პედაგოგიური თხზულებებისა, პედაგოგიური ქრონიკა ჩვენი და უცხოეთის ცხოვრებიდამ, ნარევი, «ნობათი»-ს ფოსტა. განცხადებანი.

ჟურნალი «ნობათი» ქალაქს გარეშე გაგზავნით და ქალაქში დარიგებით წელიწადში ღირს ოთხი მანეთი, ცალკე ნომერი ათი შაური.

მარტო ნახევარ წლის ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა მიიღება: თბილისში—ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლ. № 7 და შავერდოვის წიგნის სააგენტოში. ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—ექ. ფურცელაძისას. თელავში—ი. პ. როსტამაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала «Нобати»*.

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე. (3—2)

**ბიბლიოგრაფიული განცხადება**

**კონა** პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით. ფასი ათი შაური. ვინც ერთად იყიდის ოცსა ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა 42 კაპეიკად.

**დედანი ქართული წერისა**, სასწავლებლებში სახმარებელი, შედგენილი მისივე, მთლად ამოითხარა ქვაზედ, იბეჭდება უკანასკნელი თაბახი და მზად იქმნება გასასყიდად პირველის აგვისტოსათვის. დედანი იპყრობს: სახატავებს, ხელის სავარჯიშოებს, ქართული ასოების, ნაწილებს, მრგვალს ხელს, ორასზედ მეტი სურათით,—მრგვალი ხელი თავში მოთავსებულია ბადეში, შემდეგ ექვს მწოლარე ხაზს შუა, ოთხს ხაზს შუა, ორს ხაზს შუა, ერთს ხაზზედ და ბოლოს უხაზოდ,—ეს პირველი განყოფილება თავდება წვრილი მრგვალი და შუალა ხელით. შემდეგ არის დაბეჭდილი ნუსხური ჯერ გადაუბმელად, მერმე გადაბმით—მომსხო და წვრილი ხელი. ბოლოში არის დამატება, რომელიც იპყრობს თორმეტს ნიმუშს სხვა-და-სხვა ძველი საუკეთესო ნაწერებიდგან გადმოღებული ხელისას. ამას გარდა დედნის დასასრულში ჩართული იქნება ვრცელი დარიგება მასწავლებელთათვის. ფასი ექვსი შაური. სკოლებს და მაღაზიებს დედანი დაეთმობათ ხუთ შაურად, როცა იყიდიან ერთად ოცს ან მეტს ცალსა.

საწყობი—ბრიქუროვის მაღაზია, კუკიის ხიდის ყურთან.

(10—4)

შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.

**ნაფტალინი** (ქაფური) **ჩრჩილის გამწყობი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან თბილისში, საფთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—25)

Доз. ценз. Тифлисъ, 21 Іюля 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.